პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 180 (13872) | ხუთშაბათი, 3 აგვისტო, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ზეიმობს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს მემკვიდრეობით მისი ფუძემდებლის — კავკასიის წითელდროშოვანი (ყოფილი მეთერთმეტე) არმიისაგან გადაეცა ყოფილი კავკასიის წითელდროშოვანი არმიის წითელი დროშის ორდენი. გამოაცხადა რა ეს დადგენილება, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ ბრძანა:

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს ამიერიდან ეწოდოს „ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი“.

ჩვენი პრესის მთავარი თემები

ПРАВДА

2 აგვისტოს მოწინავე

ჩვენი ქვეყანა საყოველთაო-სახალხო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ეგებება საბჭოთა სახელმწიფოს ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. ყველგან — საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში წარმოებს ფართო პროპაგანდისტული მუშაობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“. ამ დიდ საქმეში საპატიო როლი ეკუთვნით პრესას, რადიოსა და ტელევიზიას.

საბჭოთა პრესა პროპაგანდის, აგიტაციისა და ორგანიზაციის მძლავრი იარაღია. ლენინური ტრადიციების ერთგული ჩვენი პრესა აქტიურ პროპაგანდას უწევს და განმარტავს ცენტრალური კომიტეტის თეზისებს, იბრძვის იმისათვის, რომ თეზისების შინაარსი გააცნოს თვითეულ საბჭოთა ადამიანს. გაზეთებში ქვეყნდება მასალები, რომლებიც ღრმად აშუქებენ შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის ამ დოკუმენტის მნიშვნელობას, იბეჭდება გამოხმაურებანი და ცნობები, თუ როგორ სწავლობენ თეზისებს მშრომელთა კოლექტივებში. პრესის ბევრი ორგანო, რადიო და ტელევიზია გამოდიან თეორიული ტატანებით, კონსულტაციებითა და სხვა მასალებით თეზისებში მოცემულ აქტუალურ საკითხებზე.

მაგალითად, კარგი ინიციატივა გამოიჩინა რესპუბლიკურმა გაზეთმა „სოვეტსკაია ბელორუსიამ“. გაზეთს თავის ფურცლებზე შემოღებული აქვს რუბრიკა „მარქსისტულ-ლენინური ცოდნის უნივერსიტეტი“, სადაც გამოაქვეყნა რამდენიმე პროპაგანდისტული სტატია, რომლებშიც გაშუქებულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ძირეული თეორიული და პრაქტიკული პრობლემები.

თეზისების პროპაგანდის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პრესის ფურცლებზე, რადიოთი და ტელევიზიით ფართოდ ვუჩვენებდეთ ვ. ი. ლენინის, კომუნისტური პარტიის უდიდეს როლს ოქტომბრის რევოლუციის მომზადებასა და განხორციელებაში და სოციალიზმის მშენებლობაში, მკაფიოდ და გასაგებად ვაშუქებდეთ სახელოვანი 50 წლის შედეგებს ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ყველა დარგში. ამ ამოცანებს საინტერესოდ წყვეტს გაზეთი „ინდუსტრიალნოე ზაპოროჟიე“. თეორიულ სტატიებთან ერთად აქ იბეჭდება წერილები საბჭოთა ხალხის სახელოვანი ისტორიული გზის შესახებ. რუბრიკით „საოქტომბრო კითხვა“ გაზეთში იბეჭდება ვრცელი გამოსვლები თეზისების ძირითად საკითხებზე, დიდი ადგილი უჭირავს აგრეთვე მასალებს ჩვენს მუშათა კლასზე, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებაზე, საბჭოთა ახალგაზრდობაზე. ამ თემებზე მრავალფეროვანი წერილები და სტატიები იბეჭდება გაზეთებში „ლენინგრადსკაია პრავდაში“, „ზარია ვოსტოკაში“, „სუვერნი რაბოჩიში“ და სხვ.

ბოლო დროს ჩვენი პრესა უფრო ღრმად, საფუძვლიანად აშუქებს დიდი ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, მის გავლენას მსოფლიო რევოლუციურ პროცესზე, გვიჩვენებს მომმე სოციალისტური ქვეყნების მიღწევებს, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის წარმატებებს, ეროვნულ — განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობას, აქტიურ პროპაგანდას უწევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინურ საგარეო პოლიტიკას.

პრესაში, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში სულ უფრო მეტი ადგილი უჭირავს ხალხის ყოველდღიური შრომითი საქმეების გაშუქებას, უწინარეს ყოვლისა იმას, თუ როგორ მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის. ამას წინათ მიღებულ იქნა დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო დროშების დაწესების შესახებ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა გამარჯვებული კოლექტივებისათვის. სამახსოვრო საოქტომბრო დროშის მოპოვება დიდი პატივია თვითეული კოლექტივისათვის, და პრესა მოწოდებულია განუწყვეტლივ აშუქებდეს ამ თემას, გვიჩვენებდეს მოწინავეებს, ეხმარებოდეს ჩამორჩენილებს, საზოგადოებრიობის დახმარებით კონტროლს უწევდეს ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას. „ტრუდი“, „მოსკოვსკაია პრავდა“, „ჩელიაბინსკი რაბოჩი“ და სხვა გაზეთები ყოველ ნომერში ბეჭდავენ ასეთ მასალებს, რაზმავენ მშრომელებს რეზერვების გამოყენებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ეკონომიური რეფორმის განხორციელებისათვის. მაგრამ ჩვენი პრესა, რადიო და ტელევიზია ჯერ კიდევ ვერ იყენებენ ყველა შესაძლებლობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების პროპაგანდისათვის, ჩვენი ხალხის ისტორიულ წარმატებათა კიდევ უფრო ღრმა და მკაფიო, მიზანსწრაფული და გასაგები განმარტებისათვის. სოციალისტური შეჯიბრების შესახებ პრესის გამოსვლებს ხშირად, სამწუხაროდ, ზერელე, შაბლონური ხასიათი აქვს: ჯეროვნად საქმითა ვერ არის, აკლია მუშაობის კონკრეტული ანალიზი.

ლენინური მითითება — „რაც შეიძლება ნაკლები პოლიტიკური ლაქლაქი, მეტი ყურადღება კომუნისტური მშენებლობის უაღრესად მარტივი, მაგრამ ცოცხალი, ცხოვრებიდან აღებული, ცხოვრების მიერ შემოწმებული ფაქტებისადმი“ — თვითეული ჟურნალისტისგან მოითხოვს განსაკუთრებით გულდასმით შეისწავლოს ახალი მოვლენები, ყოველმხრივ გააშუქოს ჩვენი სინამდვილე. ჩვენი პრესის მაღალი მოწოდებაა მკაფიოდ, ხატოვნად გვიჩვენოს საბჭოთა ადამიანი, მისი გმირული შრომა და დიადი საქმენი, მოგვითხროს სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანთა კეთილშობილურ ურთიერთობაზე, საბჭოთა პატრიოტიზმსა და ხალხთა მეგობრობაზე.

ბუნებრივია, ყოველივე ეს ხელს უწყობს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას, კერძოდ, ახალგაზრდობის აღზრდას ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით. მოწონების ღირსია გაზეთების „სოვეტსკაია სიბირის“ „სოვეტიკ ყირგიზსტანის“ სარატოვის საოლქო გაზეთ „კომუნისტის“, „ლვოვსკაია პრავდისა“ და პრესის სხვა ორგანოების გამოცდილება, რომლებიც თავიანთ ფურცლებზე ბეჭდავენ მასალებს სამხედრო-პატრიოტულ თემაზე.

საბჭოთა პრესა მილიონთა ნამდვილი ტრიბუნაა. და ძალლონე არ უნდა დავიშუროთ, რათა ამ დღეებში გაზეთების ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის პროგრამებში კიდევ უფრო აქტიურად გამოდიოდნენ რევოლუციის, სოციალისტური შენებლობის ვეტერანები, საიუბილეო შეჯიბრების მონაწილენი, მუშები, კოლმეურნეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ახლა ოქტომბრის იუბილემდე სამ თვეზე ცოტა მეტი დრო რჩება და ჩვენმა პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ მეტი შემოქმედებითი შთაგონებით უნდა იმუშაონ. და ამაში მათ ესაჭიროებათ პარტიული კომიტეტების მუდმივი დახმარება. ისინი ყოველნაირად უნდა აუჭობესებდნენ პრესისადმი ხელმძღვანელობას და მოწოდებული არიან კონკრეტულად ეცნობიდნენ სარედაქციო გეგმების შინაარსს. ამაღლებდნენ პრესის ქმედითობას, იბრძოდნენ მასებთან პრესის კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა ჟურნალისტები, ჩვენი პრესის მუშაკოთა და სოფლელოთა მრავალრიცხოვანი აქტივი პარტიის ერთგული თანაშემწენი არიან. ისინი ძალლონეს არ დაიშურებენ, რომ გაამართლონ ხალხის ნდობა, კიდევ უფრო აამაღლონ პრესის, რადიოსა და ტელევიზიის როლი, ღირსეულად ასახონ თანამედროვეობის ისტორია — გმირული ეპოქა, რომელსაც დასაბამი მისცა დიდმა ოქტომბერმა.



დღისით და ღამით, ზამთარსა და ზაფხულში, მდინარეების, მთებისა და ხეობების გავლით — მხედრული ოსტატობის მწვერვალებისაკენ.

ფოტომონტაჟი ე. ბელაშოვისა.

მინდვრებსა და პლანტაციებში

მოსავლის აღება

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თავთავიანი მარცვლეული და მარცვლეული პარკოსანი კულტურების მოსავლის აღება ფართოდ არის გაჩაღებული. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით 1 აგვისტოსათვის სულ აღებულია 149.139 ჰექტარი, ანუ გეგმის 57,7 პროცენტი. **გარდაბნის** რაიონში მოსავლის აღება უკვე დაამთავრეს. **ლაგოდეხის** რაიონში მკის დავალება შესრულებულია 98,2 პროცენტით, **წითელწყაროს** რაიონში — 97,3 პროცენტით, **სიღნაღის** — 96,4 პროცენტით, **ახმეტის** — 90,8 პროცენტით, **თელავის** — 93,7 პროცენტით, **საგარეჯოს** — 84,9 პროცენტით, **მარნეულის** — 89,6 პროცენტით, **ბოლნისის** — 88,6 პროცენტით, **თეთრი წყაროს** რაიონში — 61,7 პროცენტით.

მოსავლის აღებას შეუდგნენ მთიანი ზონის — ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, დუშეთის, დმანისის და სხვა რაიონებში. პურეულის მკა გაჩაღებულია ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის რაიონებში.

შეტანილია 6.715 ათასი ზონარმეტრი

მასობრივად არის დაწყებული თამბაქოს მოსავლის აღება. 1 აგვისტოსათვის მარნეულის რაიონში შეტანილია 6.715 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, რაც გეგმის 17,4 პროცენტს შეადგენს. ლაგოდეხელმა მეთამბაქოეებმა შეტანეს 3.716 ათასი ზონარმეტრი, ანუ გეგმის 12,4 პროცენტი. ბოლნისელებს აღებული აქვთ 1.187 ათასი ზონარმეტრი — გეგმის 23,3 პროცენტი.

აზერბაიჯანის ასს რესპუბლიკაში შეტანილი 12.941 ათასი ზონარმეტრი თამბაქო, რაც გეგმის 15,2 პროცენტს შეადგენს. აზერბაიჯანის ასს რესპუბლიკაში შეტანილია 4.355 ათასი ზონარმეტრი — გეგმა შესრულებულია 19,8 პროცენტით.

მაღალი პატივი, მოვალეობა

ა. ტ. სტუჩენკო,

არმიის გენერალი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.

◆

იყვნენ ლენინის პარტიის ერთგული შვილები ს. მ. კიროვი, გ. კ. ორჯონიკიძე, ა. ი. მიქოიანი, სახელგანთქმული მხედართუფროსები და მებრძოლთა პოლიტიკური აღმზრდელები მ. დ. ფელეკანოვი, პ. ვ. კურიმკო, მ. გ. ეფრემოვი, მ. კ. ლევანდოვსკი, ა. ი. გეკერი, კ. ა. მეხანოშინი, შ. ზ. ელიავა, ა. გ. ყარაევი, ა. თ. მიასნიკოვი და მრავალი სხვა. ძნელია წითელ მებრძოლთა საგმირო საქმეების ჩამოთვლა. მათი ბრძოლები და გმირობა ხოტბაშესხმულია სიმღერებში, დადებით შემოსილია ლეგენდებში.

რევოლუციის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისა და ამიერკავკასიის მშრომელთა განთავისუფლებისათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1923 წლის 17 აგვისტოს წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა ამიერკავკასიის ცალკე არმია — ლეგენდარული მეთერთმეტე არმიის საბრძოლო დიდების მემკვიდრე.

სოციალისტური მშენებლობის წლებში კავკასიის წითელდროშოვანი არმია, რომლის სამმართველო 1935 წელს რეორგანიზებულ იქნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამმართველოდ, განუწყვეტლივ იმაღლებდა საბრძოლო მზადყოფნას, ფხიზლად იდგა სამშობლოს სამხრეთის ზღუდეების სადარაჯოზე, განამტკიცებდა კავშირს ამიერკავკასიის მშრომელებთან.

ჩვენი ოლქის ისტორიაში წარუშლელი ფურცლები ჩაწერეს ამიერკავკასიის ფრონტის მებრძოლებმა და მეთაურებმა დიდი სამამულო ომის წლებში. ამიერკავკასიის ფრონტის ჯარებმა დიდი წვლილი შეიტანეს კავკასიის მთისწინეთში და უღელტეხილებზე მტრის განადგურების საქმეში, დაიცვეს ამიერკავკასია გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა შესეგისაგან. ამიერკავკასიის ფრონტის ნაწილები მთელ საბჭოთა არმიასთან ერთად ანადგურებდნენ მტერს, რომ გაეთავისუფლებინათ უკრაინა, ბელორუსია, ფაშიზმის უღლის მოშორებაში დაეხმარნენ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებს. დივიზიებმა, როლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, ს

ᲖᲔᲘᲛᲝᲒᲡ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲓᲠᲝᲨᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲘ

წითელდროშოვანი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲘᲧᲐᲕᲘᲗ ᲤᲮᲘᲖᲚᲐᲓ, ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲕᲘᲗ ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲓᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐᲡ.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲞᲝᲕᲐᲠᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲪᲐᲕᲐᲓ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲛᲐ ᲫᲐᲚᲔᲑᲛᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲢᲐᲠᲔᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲓᲠᲝᲨᲔᲑᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ.

ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲔᲖᲘᲡᲘᲓᲐᲜ
„ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ“.

სახელოვანი მეთოერთმეტე

რატომ გახდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი წითელდროშოვანი

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲛᲐ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲛᲣᲓᲐᲛᲝᲓ ᲨᲔᲘᲜᲐᲮᲣᲡ ᲛᲔᲮᲡᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲓᲘᲓᲘᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲣᲫᲙᲠᲝᲜᲘ ᲡᲐᲒᲛᲝᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲘ. ᲐᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲧᲐᲤᲘᲝ ᲓᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲐᲐ ᲡᲣᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲗᲐ ᲐᲛᲘᲡ შესახებ, რომ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲝᲚᲥᲡ ᲛᲔᲛᲐᲓᲒᲘᲜᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲡᲗᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲛᲐᲛᲬᲐᲕᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲓᲠᲝᲨᲝᲕᲐᲜᲘ (ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲛᲔ-11) ᲐᲠᲛᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲬᲘᲗᲘᲗᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲘᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲛᲝᲒᲔᲑᲘᲗ.

ჩვენს ოლქს, მის შენაერთებსა და ნაწილებს მდიდარი საბრძოლო ტრადიციები აქვთ. ეს ტრადიციები ფასდაუდებელი სულიერი იარაღია არა მარტო მეომრებისათვის, არამედ ყველა მშრომელისთვისაც, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობისათვის. ეს არა მარტო წმინდა საბრძოლო ტრადიციებია, არამედ სახელოვანი რევოლუციური ტრადიციებიც, მუშათა კლასისა და ბრძოლებში ნაცადი მისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის ტრადიციები, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ტრადიციები.

აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მუშათა და გლეხთა მოწოდებით, რომელნიც თავიანთი სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის აღდგნენ, მე-11 არმია ვ. ი. ლენინის წარმოუზანილების გ. კ. ორჯონიკიძისა და ს. მ. კიროვის მეთაურობით დაეხმარა ამიერკავკასიის ხალხებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში.

კავკასიის წითელდროშოვანი არმია, ისევე როგორც მთელი საბჭოთა არმია, მუდამ იყო პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის ბურჯი. არმიის ძალისა და ძლიერების საფუძველს შეადგენდა ძისი მრავალეროვნული შემადგენლობის ერთიანობა და დარაზმულობა, ყველა მებრძოლისა და მეთაურის ერთგულება პარტიისა და ხალხის საქმისადმი. მის მეომრებს საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებდა ძმური კავშირი ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ყველა ხალხთან, მათი ერთობლივი ბრძოლა მშობლიური საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ყველა მშრომელთა მუურაკუნი სიყვარული და მხარდაჭერა.

მაღალი პატივი ხვდათ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებს. ისინი თავიანთ საპატიო სამსახურს ეწევიან იმ ჯარებში, რომლებიც ყოფილი მე-11, კავკასიის ცალკე და კავკასიის წითელდროშოვანი არმიების საბრძოლო დიდებისა და გმირული ტრადიციების პირდაპირი მემკვიდრენი არიან. ეს დიდება, რომელიც დიდად გამრავლდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან დიდი სამამული ომის ბრძოლის ველებზე, ახლა გადაეცემა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის თვითეულ მეომარს აგტომატთან და ჯარისკაცულ აღჭურვილობასთან ერთად.

მე-11 არმიის საბრძოლო წარმატებანი შედეგია მის შემადგენლობაში შემავალი დივიზიებისა და პოლკების მასობრივი გმირობისა, რაც მათ სოციალისტური სამშობლოს მტრებთან ბრძოლებში გამოიჩინეს. კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მეომრთა საგმირო საქმეები გადაიზარდა მთელი ნაწილებისა და შენაერთების კოლექტიურ გმირობად, რომლებმაც დიდებით შემოსეს თავიანთი დროშები ამიერკავკასიაში ახალგაზრდა რევოლუციური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლაში. მათი ძმური დახმარება შშრომელებისადმი საშუამდო აღებეჭდილია აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ხალხთა გულში.

„კავკასიის 1-ლი და მე-3 სამოთ-მსროლელი დივიზიები შუშურ-გლეხური არმიის ერთ-ერთი უძველესი ნაწილები არიან, — წერდა სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარი საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ე. ვოროშილოვი 1936 წლის 26 მარტის ბრძანებაში. — ორივე ჩამოყალიბებულია 1918 წელს წითელგვარდიელთა და პარტიზანთა რაზმებიდან: პირველი მე-9 ქვეითი დივიზიის, მეორე — მე-20 მსროლელი დივიზიის სახელწოდებით. ორივე დივიზია შამაცურად იბრძოდა თეთრგვარდიელ გენერალთა ოქროსსამხრეულიანი პოლკების წინააღმდეგ და, 1921 წელს საქართველოს აჯანყებულ მშრომელთა დასახმარებლად ამიერკავკასიაში რომ გადმოიყვანეს, ისინი თავდადებულად იბრძოდნენ თეთრგვარდიულ-მენშევიკური ჯარების წინააღმდეგ“.

გმირმა „ოცეულმა“, როგორც სიყვარულით უწოდებდნენ მებრძოლები მე-20 მსროლელ დივიზიას, სიმტკიცის, გამბედაობისა და ვაჟკაცობის შესანიშნავი ნიმუშები გამოიჩინა კოლჩაკთან და დენიკინთან ბრძოლაში, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის განთავისუფლებისას. ყოფილი მე-9 (საქართველოს ცაკის სახელობის კავკასიის 1-ლი წითელდროშოვანი) დივიზიის პირადი შემადგენლობა სოციალისტური მშენებლობის წლებში დაუნათესავდა საქართველოს მუშებსა და გლეხებს, დიდი დახმარება გაუწია მათ სამხედრო კადრების მომზადებაში, პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდაში.

ამიერკავკასიის განთავისუფლების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა 28-ე წითელდროშოვანმა მთიელთა მსროლელმა დივიზიამ. „1920 წლის მარტის ნახევრიდან, — ნათქვამი იყო დივიზიის წითელი დროშის ორდენით დასაჯილდოებლად წარდგენაში,— 28-ე დივიზია XI არმიის შემადგენლობაში შევიდა და სასახელო მონაწილეობა მიიღო აზერბაიჯანის მშრომელთა ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ამასთან მას წილად ხვდა პატივი არმიის ავანგარდად შესულიყო ქალაქ ბაქოში. 28-ე დივიზიის შემდგომი საბრძოლო საქმიანობა მიმდინარეობდა ლენქორანის მაზრის მბალეგლეზებისაგან გაიწმინდა. მთელი ბანგრძლივი საბრძოლო გზა 28-ე მსროლელმა დივიზიამ სამი წლის განმავლობაში განვლო უცვლელი სიმტკიცით, მამაცობითა და თავდადებით, რომელიც ვერ გატეხა ვერც მტრების იარაღმა, ვერც ძმიმე გასაჭირმა, რაც მებრძოლებმა გადაიტანეს ურალისა და ციმბირის ღრმა თოვლში, მანჩის საფლოებებში, კავკასიის მთებში და მუდანის ხაშმიან ჭაობებში“.

წითელდროშოვან მე-14 სტეპინის სახელობის დივიზიას, რომელიც შემდეგ რეორგანიზებულ იქნა კავკასიის მე-2 დივიზიად, სამართლიანად შეუძლია მე-11 არმიის მე-20, მე-9, მე-18 ცხენოსან და სხვა საბრძოლო შენაერთებთან გაიზიაროს უცხოელი იმპერიალისტებისა და მათი დამქაშების უღლისაგან საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების განთავისუფლებისათვის ბრძოლის მონაწილეთა დიდება. იგი გაიზარდა დიდი ოქტომბრის დღეებში ზამოსკვორეჩიეს მუშათა საბრძოლო რაზმიდან.

წითელი არმიის სხვა სახელოვან შენაერთთა შორის, რომლებმაც ხელი შეუწყეს ამიერკავკასიის მშრომელებს საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში, იყვნენ აგრეთვე წითელდროშოვანი 32-ე მსროლელი დივიზია, იაროსლავლის წითელდროშოვანი მე-18 მსროლელი დივიზია, რომელიც 1921 წლის გაზაფხულზე მე-20 დივიზიას შეერწყო, ყოფილი 34-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც იმავე წელს შეაერთა მე-9 დივიზიის რიგები, სამარის მე-7 და ლაბინსკაიას მე-18 ცხენოსანი დივიზიები, 33-ე მსროლელი დივიზიის წითელდროშოვანი 98-ე მსროლელი ბრიგადა და სხვები. საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულ იქნენ ი. ბ. სტალინის სახელობის I-ლი ქართული მსროლელი დივიზია, წითელი დროშის ორდენოსანი მ. ვ ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართული მსროლელი დივიზია და ქართული ცხენოსანი პოლკი. მეთერთმეტე, კავკასიის ცალკე და კავკასიის წითელდროშოვანი არმიების რიგებში იბრძოდნენ ისეთი სახელგანთქმული მხედართუფროსები, როგორიც იყვნენ მ. დ. გელიკანოვი, ნ. ვ. კუიბიშევი, პ. ვ. კურიშკო, მ. გ. ეფრემოვი, ა. ი. ტოდორსკი, დ. პ. ელობ, ნ. ი. პლიუსინი, ნ. ა. ნესტეროვსკი, ა. ს. სმირნოვი და სხვები. მეთერთმეტე, კავკასიის ცალკე და კავკასიის წითელდროშოვან არმიის სხვადასხვა დროს სარდლობდნენ სამოქალაქო ომის გმირები მ. კ. ლევანდოვსკი, ა. ი. გეკერი, ა. ი. ეგოროვი.

არმიის რიგების შემჭიდროებისათვის, მეომართა პატრიოტული აღზრდისათვის ბევრი რამ გააკეთეს პარტიის წარგზავნილებმა — სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრებმა, არმიის კომისრებმა და პოლიტმუშაკებმა — გ. კ. ორჯონიკიძემ, ს. მ. კიროვმა, ა. ი. მიქოიანმა, კ. ა. მეხონოშინმა, ა. თ. მიასნიკიანმა, შ. ზ. ელიავამ, ა. გ. კარაევმა, ბ. დ. მისაილოვმა, ი. ი. ვესნიკმა, ბ. მ. კვირკველიამ, კ. კ. რატნეკმა, მ. ი. ლისოვსკიმ, ი. ა. სვირიდოვმა და სხვებმა.

რევოლუციის წინაშე და ამიერკავკასიის მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლაში თავანსაჩინო დამსახურებისათვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1923 წლის 17 აგვისტოს არმია დაჯილდოდა წითელი დროშის ორდენით და დაადგინა ამიერიდან მას რქმეოდა „კავკასიის წითელდროშოვანი არმია“.

ეს საბრძოლო ორდენი ახლა შემკვიდრეობით დაუბრუნდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქს მოგვაყავს სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის ისტორიული დადგენილება კავკასიის ცალკე არმიის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ:

„სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის
1928 წლის 17 აგვისტოს სხდომის № 7 ოქმიდან.
ᲛᲝᲜᲘᲡᲛᲘᲜᲔᲚᲘ:
კავკასიის ცალკე არმიის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ (შემოტანილია სრულიად რუსეთის ცაკის მიერ).
ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲜᲔᲚᲘ:
დაჯილდოებულ იქნას კავკასიის ცალკე არმია წითელი დროშის ორდენით და გადაეცეს მას წითელი დროშა, ამასთან კავკასიის ცალკე არმიას ეწოდოს კავკასიის წითელდროშოვანი არმია.
სსრ კავშირის ცაკის მდივანი Ა. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ“.

კავკასიის ცალკე (მე-11) არმიის საგმირო საქმეებს მაღალი შეფასება მისცა რესპუბლიკის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ. სამხედრო-რევოლუციური საბჭოს ბრძანებაში, რომელიც მიეძღვნა მის მეხუთე წლისთავს, ნათქვამი იყო: მან პირველმა აანთო სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ჩირაღდანი მუსლიმან მშრომელ მოსახლეობაში, დახმარების ძმური ხელი გაუწოდა ჩაგრულ ხალხებს და მოუტანა მათ გასთავისუფლება რუსეთის კონტრრევოლუციონერებისა და ევროპის იმპერიალიზმისაგან.

მან განვლო დიდი გმირული გზა ასტრახანის ველებიდან არარატის მწვერვალებამდე, კასპიის ზღვიდან ნაწილ ზღვამდე, გაიარა ვაკეებისა და დაღესტნის მთაგრეხილები, ამიერკავკასიის ხეობები და მთები. ბევრი საუკეთესო მებრძოლი დაეცა ბრძოლებში. დავსწაროთ დროშები დალუპულთა ხსოვნის წინაშე.

თითქოს თაობათა ცოცხალი ესტაფეტით კავკასიის წითელდროშოვანი არმიის საგმირო საქმენი აღაფრთოვანებენ ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრებს შემდგომი საბრძოლო სრულყოფაში პოლიგონებსა და ტანკოდრომებზე, სასწავლო ველებსა და აეროდრომებზე.

ოლქისათვის „წითელდროშოვანის“ საპატიო წოდების მინიჭება ჯარების მთელ პირად შემადგენლობას აღაფრთოვანებს სწავლაში ახალი წარმატებებისათვის, საბრძოლო მზადყოფნის შემდგომი ამაღლებისათვის.

მ. ᲢᲠᲐᲡᲙᲣᲜᲝᲕᲘ,
ᲡᲐᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘ,
ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ.

რაკეჯული ჭექა-ქუხილი

ᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲒᲜᲘᲐ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲭᲔᲥᲐ-ᲭᲣᲮᲘᲚᲘ? ᲐᲡᲔᲗ ᲬᲣᲗᲔᲑᲨᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐ ᲒᲐᲩᲠᲘᲡ ᲔᲚᲕᲐ, ᲘᲡᲘᲗᲘ ᲒᲐᲛᲐᲣᲠᲣᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲠᲣᲑᲣᲜᲘ ᲓᲒᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲔᲠᲕᲔᲑᲘᲗᲘ ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲗᲘ ᲒᲚᲐᲚᲐᲢᲝᲑᲡ. ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲡᲢᲐᲠᲢᲝ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔ. ᲠᲐᲙᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲒᲠᲣᲑᲣᲜᲘ ᲒᲐᲘᲡᲛᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪᲐᲪ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲛᲔᲠᲮᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲜᲐᲡ ᲛᲝᲒᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ, ᲓᲐ ᲠᲐᲙᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲚᲚᲐ ᲛᲘᲔᲛᲐᲠᲗᲝᲑᲐ, ᲙᲣᲠᲡᲘ ᲘᲚᲘᲦᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ.

ᲐᲛ ᲑᲖᲔᲠᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲗᲘᲡ ᲤᲝᲠᲬᲣᲚᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲘᲧᲝᲠᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲐᲪ ᲬᲘᲜ ᲬᲣᲗᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲕᲔᲑᲡ, ᲗᲐᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲗ ᲐᲠᲐ ᲓᲐᲛᲪᲐᲠᲔᲑᲘᲗ

მხურვალე მაღლობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას

ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის პრეს-კონფერენცია

◆

საბჭოთა კავშირში იმყოფება ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალური გამგეობის გენერალური მდივანი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვუ კუოკ უი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის გმირი საზენიტო ჯგუფიულის მეთაური ჰოანგ ნგოკ ტოინგი, სახალხო ლაშქრის წევრი ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლის დამკვრელი ნგუენ თხი მი და სხვები.

დელეგაცია ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა, რათა მონაწილეობა მიეღო საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრობის ერთთვიურში. სტუმრები იყვნენ მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში, სადაც მრავალი შეხვედრა ჰქონდათ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებთან, მშრომელთა წარმომადგენლებთან.

I აგვისტოს დელეგაციამ მეგობრობის სახლში გამართა პრეს-კონფერენცია. უპასუხა რა კორესპონდენტთა შეკითხვებზე, ამხანაგმა ვუ ვუოკ უიმ გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს უდიდესი და უანგარო დახმარებისათვის, რომელსაც ვიეტნამს უწევს ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის მოგერიებაში.

ჩვენ, თქვა დელეგაციის მეთაურმა, აღტაცებული ვართ საბჭოთა ხალხის მიღწევებით, თქვენს ქვეყანაში გრანდიოზული მშვიდობიანი მშენებლობით. ეს ფრთას გვასხამს და, ძალ-ღონეს გვმატებს. ასეთია საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მიღებულ შთაბეჭდილებათა ძირითადი შედეგი. მხურვალე მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას ანტიომპერიალისტური კურსისათვის, მებრძოლი ვიეტნამის მხარდაჭერის კურსისათვის. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ამ პოლიტიკას.

მთელმა ვიეტნამელმა ხალხმა იცის, თქვა ვუ კუოკ უიმ, რომ საბჭოთა კავშირი მატერიალურად გვეხმარება და მორალურად გვიჭერს მხარს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მიაჩნია, რომ ეს დახმარება უდიდესი და ფასდაუდებელია.

საბჭოთა ადამიანები ჩვენს ხალხს გმირ ხალხს უწოდებენ. ამით ვამაყობთ. მაგრამ კარგად გვესმის, რომ ყველაზე გმირი ხალხი არის საბჭოთა ხალხი, რომელმაც მოახდინა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, დაამარცხა ფაშისტური გერმანია და წარმატებით აშენებს თავის ქვეყანაში კომუნისტურ საზოგადოებას:

მიგვაჩნია, რომ საპირო საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხები, ყველა ქვეყნის ხალხების მჭიდრო შეკავშირება, რათა საკადრისი პასუხი გავცეთ იმპერიალისტთა სისხლიან ხრიკებს, რათა ხელი შეუშალოთ ახალი ომის გაჩაღებას, რომელიც აურაცხელ უბედურებას მოუტანს მთელ კაცობრიობას, ხაზგასმით აღნიშნა დელეგაციის მეთაურმა.

ჩვენი ხალხი თამამად შეჰყურებს მომავალს, რადგან აქვს თავისი ძალების რწმენა, მომძე საბჭოთა ქვეყნის უანგარო დახმარების რწმენა, განაცხადა ვუ კუოკ უიმ. (საკდესი).



მწყობრში ჩადგა ელექტროგადაცემის ხაზი „ბოჩიინოვცი კრაიოვა“ (სურათზე), რომლითაც ბულგარეთი რუმინეთის ტერიტორიის მეშვეობით მიიღებს ელექტროენერგიას საბჭოთა კავშირიდან. ახალი ნაგებობა სსრ კავშირის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობის ნაყოფია. ხაზის სიგრძეა 140 კილომეტრი, აქედან 60 ბულგარეთის ტერიტორიაზე გადის. ყოველწლიურად 220 ათასი ვოლტის ძაბვის ხაზით გადაცემულ იქნება 1 მილიარდამდე კილოვატ-საათი ელექტროენერგია.

ფოტო ბტა-საკდესისა.

სამხრეთ საფრანგეთის კომუნისტთა დღესასწაული

პარიზი, 2 აგვისტო. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ წერს, ხუთი ათასი კაცი მონაწილეობდა ტრადიციულ ადგილობრივ დღესასწაულში, რომელიც გაიმართა ქალაქ ვალონ-პონ-დ'არკის (სამხრეთი საფრანგეთი, არდეშის დეპარტამენტი) მახლობლად. დღესასწაული მოაწყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივმა ფედერაციამ.

დღესასწაულის კულმინაცია იყო მიტინგი, რომელზეც ვრცელი სიტყვა ბრძოლის მოცემულ ეტაპზე კომუნისტთა ამოცანების შესახებ წარმოთქვა კომუნისტმა სენატორმა ჟორჟ კონომ.

შეკრებილთა დიდი ინტერესი გამოიწვია მარქსისტული წიგნის გამოფენამ-გაყიდვამ.

გლეხთა გამოსვლები

პარიზი, 2 აგვისტო. (საკდესი). ავეირონის დეპარტამენტის გლეხთა მასობრივი დემონსტრაცია გაიმართა ქალაქ ვილფრანშში (სამხრეთი საფრანგეთი). ამას იუწყება დღეს ფრანს პრესის საააგენტო.

დემონსტრაციის მონაწილენი შეიკრიბნენ პრეფექტურის შენობის წინ, რათა პროტესტი განეცხადებინათ სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, კერძოდ ხორცის საბითუმო შესასყიდი ფასების დაბალი დონის წინააღმდეგ. ძალზე დაბალი შესასყიდი ფასები აჩანაგებს გლეხთა მეურნეობას და მოგებას აძლევს მხოლოდ მებითუმე სპეკულანტებს. ისინი მდიდრდებიან როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა, ისე პროდუქტების მომხმარებელთა ხარჯზე, რომლებიც იძულებული არიან სურსათი იყიდონ ბაზრებსა და მაღაზიებში სულ უფრო მაღალ ფასებში.

დემონსტრაცია დამთავრდა იმით, რომ ხელისუფალთა წარმომადგენლებს გადასცეს გლეხთა პეტიცია, რომელშიც მათ ჩამოთვალეს თავიანთი მოთხოვნები.

„ფორესტოლი“ სუბიკის ყურეში

ლონდონი, 2 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის უდიდესმა ავიამზიდმა „ფორესტოლმა“, რომელზეც შაბათს კატასტროფა მოხდა ხანძრის შედეგად, თავისი სელით მიაღწია ამერიკის სამხედრო-საზღვაო ბაზას სუბიკის ყურეში (ფილიპინები). აქ დაიწყება წინასწარი შეკეთება, რის შემდეგ ავიამზიდი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავა კაპიტალური შეკეთებისათვის. ამერიკის სამხედრო-საზღვაო უწყების სპეციალისტები ახლა ადგენენ ზარალის ოდენობას, რომელიც ვიეტნამის მთელი ომის მანძილზე ამ ყველაზე დიდმა კატასტროფამ გამოიწვია სამხედრო-საზღვაო ფლოტში.

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ავიამზიდზე აფეთქება მოხდა მას შემდეგ, რაც რეაქტიულ ავიაგამანადგურელ „სკაიჰოკიდან“ ჩამოვარდა გარესაბიოს ავზი. ხანძარმა გამოიწვია რაკეტებისა და ბომბების აფეთქება და მოედო ანგარის ნაგებობებს.

აფეთქებითა და ძლიერი ალით ავიამზიდი „ფორესტოლი“ დაზიანებულია ოთხი გემბანის სიღრმეზე. წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა, დაშავდა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა 182 მატროსი და ოფიცერი. მაშველი რაზმები ჯერ კიდევ დაღუპულთა გვამებს ეძებენ ავიამზიდის შიგა ნაკეთურებში. ხანძრის დროს მაღალი ტემპერატურის გამო ქვემო გემბანები მოწყვეტილია გასასვლელებისაგან. ხოლო ფოლადის კარები და ტიხრები გალღვა.

რეიტერის საააგენტო აღნიშნავს, რომ 80 თვითმფრინავიდან, რომლებიც შაბათ დილას უდა აფრენილყვნენ და იერიში მიეტანათ ჩრდილოეთ ვიეტნამზე, მწყობრიდან გამოვიდა 63 თვითმფრინავი. მეტწილად განადგურდა „სკაიჰოკისა“ და „ფანტომის“ ტიპის თვითმფრინავები.

სახაზო გემი ვიეტნამში გაიგზავნება

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. (საკდესი), როგორც ასოშეიტედ პრესის საააგენტო იუწყება თავდაცვის მინისტრმა რობერტ მაკნამარამ განკარგულება გასცა, რეზერვიდან გაიყვანონ სახაზო გემი „ნიუ-ჯერსი“ და ვიეტნამში გაგზავნონ ბრძოლებში მონაწილეობის მისალებად.

სამხრეთ საფრანგეთის კომუნისტთა დღესასწაული

პარიზი, 2 აგვისტო. (საკდესი). როგორც „ლუმანიტე“ წერს, ხუთი ათასი კაცი მონაწილეობდა ტრადიციულ ადგილობრივ დღესასწაულში, რომელიც გაიმართა ქალაქ ვალონ-პონ-დ'არკის (სამხრეთი საფრანგეთი, არდეშის დეპარტამენტი) მახლობლად. დღესასწაული მოაწყო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ადგილობრივმა ფედერაციამ.

დღესასწაულის კულმინაცია იყო მიტინგი, რომელზეც ვრცელი სიტყვა ბრძოლის მოცემულ ეტაპზე კომუნისტთა ამოცანების შესახებ წარმოთქვა კომუნისტმა სენატორმა ჟორჟ კონომ.

შეკრებილთა დიდი ინტერესი გამოიწვია მარქსისტული წიგნის გამოფენა-გაყიდვამ.

ბულგარეთის დელეგაცია სირიაში

დამასკო, 1 აგვისტო (საკდესი). გუშინ აქ ჩამოვიდა ბულგარეთის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლუჩეზარ ავრამოვი. დღეს დელეგაცია მიიღო სირიის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა იუსეფ ზუეინმა.

გაიმართა მეგობრული საუბარი, რომლის დროს შეეხნენ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიის გამო შექმნილ მდგომარეობასთან. განიხილეს აგრეთვე ორი მეგობარი ქვეყნის ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების საკითხები.

მოზამბიკის პატრიოტთა წარმატება

კამპალა, 2 აგვისტო. (საკდესი). 1964 წლის სექტემბრიდან დღემდე მოზამბიკის პატრიოტებმა პორტუგალიელი კოლონიზატორების წინააღმდეგ ბრძოლებში მოსპეს 5 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი, 20 თვითმფრინავი და 400 სატვირთო მანქანა. ეს ნათქვამია მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის ვიცე-პრეზიდენტ ურია სიმანგოს განცხადებაში, რომელიც აქ გაავრცელეს.

ანტიხალხური „პროგრამა“...

ბონი, 2 აგვისტო. (საკდესი). „ფინანსებისა და ეკონომიკის გაჯანსაღების პროგრამა“, რომელიც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშავა, უწინარეს ყოვლისა, მიზნად ისახავს შეამციროს სოციალურ საჭიროებათა ხარჯები, რაც კიდევ უფრო გაუარესებს მშრომელის მდგომარეობას. ეს ნათქვამია დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების განცხადებაში, რომელიც გაეგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ კიზინგერს, ბონის მთავრობის მინისტრებსა და დასავლეთ გერმანიის მხარეების მთავრობებს.

პროფკავშირთა გაერთიანება ილაშქრებს „ფინანსური პროგრამით“ გათვალისწინებული გადასახადების გადიდების წინააღმდეგ და მოითხოვს დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისათვის საჭირო ხარჯების შემცირებას.

სსრ კავშირისა და ნიგერიის კულტურული თანამშრომლობა

2 აგვისტოს მოსკოვში სსრ კავშირმა და ნიგერიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას კულტურული თანამშრომლობისა და გაცვლის შესახებ. ხელშეკრულება ითვალისწინებს ორი ქვეყნის თანამშრომლობას გაათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ხელოვნებისა და სპორტის დარგში. გათვალისწინებულია აგრეთვე რადიოსა და ტელევიზიის პროგრამებისა და სხვა საინფორმაციო მასალების გაცვლა. (საკდესი).

მინისტრთა შეხვედრა ხართუმში

ხართუმი, 2 აგვისტო. (საკდესი). გუშინ არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციის გახსნაზე გამოსვლისას სუდანის პრემიერ-მინისტრმა მუჰამედ ამმედ მაჰჯუბმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ფრონტის გაერთიანება და არაბულ სახელმწიფოთა შეთანხმებული მოქმედება.

მაჰჯუბმა თქვა, რომ ისრაელის იმპერიალისტური აგრესია სხვა არა არის რა თუ არა პრელუდია მძლავრი იმპერიალისტური კამპანიისა არაბი ხალხების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

მთელი არაბული სამყარო, განაცხადა სუდანის პრემიერ-მინისტრმა, თვალს ადევნებს ჩვენს კონფერენციას და ყოველი არაბი სულმოუთქმელად ელოდება მის შედეგებს. ყველას იმედი აქვს, რომ კონფერენცია შეიმუშავებს არაბული სამყაროსთვის ერთიანი მოქმედების გეგმას, რომელსაც ჩვენ სავსებით განვახორციელებთ, გეგმას, რომელსაც ყოველმხრივ მოიწონებენ მომავალი თათბირის მონაწილე არაბულ სახელმწიფოთა მეთაურები. და იმედი გვაქვს, რომ ეს თათბირი მოეწყობა.

მაჰჯუბის სიტყვის შემდეგ კონფერენციის მონაწილეებმა დაიწყეს დღის წესრიგის საკითხთა განხილვა. კონფერენცია, რომელიც სამ დღეს გასტანს, დახურულ დარბაზში იმუშავებს.

ვოიაქი გრძელდება

ლონდონი, 2 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლები გენერალი მ. ტეილორი და კ. კლიფორდი დღეს ახალი ზელანდიიდან გაფრინდნენ გუამის კუნძულზე, საიდანაც სამხრეთ კორეაში გაემგზავრებიან. ამას იუწყება რეიტერის საააგენტოს გელინგტონელი კორესპონდენტი.

ახალ ზელანდიაში ყოფნისას ამერიკის ემისრებმა პრემიერ-მინისტრ კ. ჰოლიოკთან და ახალი ზელანდიის მინისტრებთან ერთად განიხილეს ვიეტნამის ომის მსვლელობის საკითხი.

სამხრეთ კორეა მეხუთე ქვეყანა იქნება სამხრეთ ვიეტნამის, ტაილანდის, ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის შემდეგ, სადაც ამერიკის პრეზიდენტის წარმომადგენლებს მოლაპარაკება ჰქონდათ თავიანთ აგრესორ მოკავშირეებთან ვიეტნამში „სამხედრო ღონისძიებათა“ შემდგომი გაფართოების შესახებ.

მოიკპრეს რადიოაქტიური კონტეინერი

ბრიუსელი, 2 აგვისტო. (საკდესი). ანტვერპენის მახლობლად მოძრავი ლაბორატორიიდან გაქრა კონტეინერი რადიოაქტიური ნივთიერებით. კონტეინერი, რომელშიც ირიდიუმ-192 იყო, გამოიყენებოდა ახალი გაზსადენის ლითონის მილების შედუღების კონტროლისათვის და ეკუთვნოდა კომპანია „სასოსიასიონ ვენსოტს“.

გაზეთი „მეტროპოლი“ გამოთქვამს აზრს, რომ საქმე ეხება სამრეწველო ჯაშუშობას, რომელსაც სხვადასხვა კომპანიები მიმართავენ, რამდენადაც კონტეინერში გამოყენებული იყო ანტირადიაციული დაცვის უახლესი მასალები.

თუ კონტეინერი გაუთვითცნობიერებელმა პირმა მოიპარა, განაცხადა კომპანიის წარმომადგენელმა, მოუფრთხილებელმა მოპყრობამ შეიძლება გამოიწვიოს რადიოაქტიური მოწამვლის დიდი საფრთხე.

ჰაიტში შემოიღეს კომენდანტის საათი

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. (საკდესი). ჰაიტის დიქტატორმა დიუვალიემ ამ ქვეყანაში შემოიღო კომენდანტის საათი. საღამოს 10 საათის შემდეგ ჰაიტელებს აკრძალული აქვთ ქუჩაში გამოსვლა. როგორც ჰაიტის ოფიციალურმა მოხელეებმა ნიუ-იორკში განაცხადეს, ეს ღონისძიება „საფრთხისა“ შემოღებულია „ეროვნული მიზნით“ შემოღებულია გაურკვეველი ვადით.

კომენდანტის საათი შემოიღეს მას შემდეგ, რაც დიუვალიე გაუსწორდა რამდენიმე ათეულ მოწინააღმდეგეს. როგორც „ჰაიტის კოალიციის“ მდივანმა რაიმონდ ჟოზეფმა ნიუ-იორკში განაცხადა, დიქტატორის ბრძანებით ამას წინათ დახვრიტეს ოთხი პატრიოტი, ბევრი საპყრობილეებში ჩაყარეს. დაპატიმრებულთა შორის არიან შინაგან საქმეთა, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, იუსტიციის ყოფილი მინისტრები.

როგორც ჰაიტელ ემიგრანტთა წრეებში ამბობენ, რეპრესიები და კომენდანტის საათის შემოღება აიხსნება იმით, რომ დიქტატორიულ რეჟიმს ამნიებს წინააღმდეგობის მზარდი მოძრაობა. ჰაიტში გახშირდა თავდასხმები მთავრობის მხარეულებზე და თვით დიუვალიეზე.

მდგომარეობა ნიგერიაში

ლაგოსი, 2 აგვისტო. (საკდესი). ფედერალური არმიის სარდლობის წარმომადგენელმა გუშინ გაანაცხადა, რომ ფედერალურმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი ობოლო, რომელიც მდებარეობს 60 კილომეტრზე ნიგერიის აღმოსავლეთ ოლქის დედაქალაქ ენუგუს ჩრდილოეთით. როგორც ფედერალური არმიის წარმომადგენელმა აღნიშნა, ენუგუს მისადგომებზე ქალაქი ობოლო აღმოსავლეთ ნიგერიის ჯარების დიდმნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტია.

სოლიდარობის კონფერენცია

ბუენოს აირესი, 2 აგვისტო. (საკდესი). ლათინური ამერიკის სოლიდარობის ორგანიზაციის პირველი კონფერენცია მუშაობას განაგრძობს. გუშინ პლენარულ სხდომებზე გამოვიდნენ სალვადორის, ტრინიდად-ტობაგოს, კოსტა-რიკისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების დელეგაციათა მეთაურები, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალების, აგრეთვე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, მშვიდობის მსოფლიო საბჭოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. ორატორებმა დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესია გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მხარი დაუჭირეს არაბ ხალხებს, გადაჭრით დაგმეს პროვოკაციები რევოლუციური კუბის წინააღმდეგ, მათ მოიწოდეს დელეგატებს გააძლიერონ ბრძოლა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ტრაგედია ვენესუელაში

კარაკასი, 1 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი სერვანდო გარსია პონსე გვატყობინებს:

ვენესუელის მთავრობამ გამოაცხადა ხუთდღიანი გლოვა იმ ტრაგედიის გამო, რომელიც კარაკასში, კურორტ კარაბალეიედსა და სხვა სანაპირო დასახლებულ პუნქტებში მოხდა 29 ივლისის მიწისძვრის შედეგად.

არასრული მონაცემების, მიწისძვრის დროს ვენესუელის დედაქალაქში დაიღუპა 300 კაცი, ხოლო კარაბალეიედში დაახლოებით 100 კაცი. დაღუპულთა შორის არიან ისეთი ცნობილი საზოგადო მოღვაწენი, როგორიცაა ალფრედო როხას მანხო, სოციალ-ქრისტიანული პარტია კოპეის ორგანიზაციის ეროვნული მდივანი, თეატრების, კინოსა და ტელევიზიის სამმართველოს დირექტორი არიელ ვალარინო.

უნივერსიტეტის უბანში დაზიანდა 20 შენობა, უნივერსიტეტში შეწყდა მეცადინეობა.

ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში 100 ათასი კაცი ღია ცისქვეშაა, სანამ სპეციალისტები შეამოწმებენ საცხოვრებელ შენობათა მდგომარეობას.

საუნივერსიტეტო ცენტრების ფედერაცია და სხვა ორგანიზაციები ქმნიან კომისიებს, რომლებიც ეხმარებიან უსახლკაროდ დარჩენილ ხალხს.

გაუშვეს „ლუნარ ორბიტერ-5“

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო (საკდესი). როგორც ასოშეიტედ პრესის საააგენტო გვატყობინებს, გუშინ კენედის კოსმოსიდან „ატლას-აჯენის“ სარაკეტო სისტემის საშუალებით გაუშვეს ამერიკის ავტომატური სადგური „ლუნარ ორბიტერ-5“.

საუკთესო ცხოვრება

ინგლისელ ფერმერთა ბედნიერება

ინგლისელ ფერმერ-ბოსტნეულ-ბოსტანმოყვარეთა ბედნიერებაა ეს ბოსტნეული, ეს ბოსტანი, ეს ბაღი, ეს ბალი, ეს ბალ-ბოსტანი, ეს ბალ-ბოსტან-ბაღ-ბალ-ბოსტანი, ეს ბალ-ბოსტან-ბაღ-ბალ-ბოსტანი-ბაღ-ბალ-ბოსტანი, ეს ბალ-ბოსტან-ბაღ-ბალ-ბოსტანი-ბაღ-ბალ-ბოსტანი-ბაღ-ბალ-ბოსტანი

სურათზე: დავით გურამიშვილის ძეგლი მირგოროდში.

ძმური ერთობის მომღერალი

დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილი საღამო მირგოროდში

მირგოროდი (პოლტავის ოლქი), 1 აგვისტო. (საკ.კორ.). დღეს მირგოროდის რაიონულ კულტურის სახლში გაიმართა დიდი ქართველი პოეტის დავით გურამიშვილის გარდაცვალების 175 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. უკრაინის ამ ძველი ქალაქისა და ახლომდებარე სოფლების მცხოვრებლებმა აღნიშნეს ქართველი ხალხის შვილის, ძმური ერთობის მომღერლის ხსოვნა, რომლისთვისაც უკრაინა მეორე სამშობლო გახდა. საღამოზე ჩამოვიდნენ მწერლები კიევიდან და პოლტავიდან — ა. მალიშკო, დ. კოსარიკი, ა. ნოვიცკი, ვ. კოროტიჩი, ო. იურმენკო. დ. კოსარიკი შეკრებილთ ესაუბრა გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. პოროუჩიკმა გურამოვმა რუსეთის არმიაში სამსახურისათვის უკრაინაში ერთი ნაგლეჯი დაჭაობებული მიწა მიიღო, სადაც ოცდაათი წელი გაატარა. აქ გურამიშვილმა შექმნა „დავითიანი“, რომელიც შესულია ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში და თარგმნილია მრავალ ენაზე.

გურამიშვილის სახელობის № 2 რვაწლიანი სკოლის მასწავლებელმა ბ. ს. ზუბენკომ აღნიშნა, რომ მირგოროდელები დიდ პატივს სცემენ დიდი პოეტის ხსოვნას. სკოლის გარდა, მისი სახელი ეწოდა ქალაქის ბიბლიოთეკასა და ქუჩას. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არის პოეტისადმი მიძღვნილი განყოფილება.

საღამოზე აღინიშნა, რომ დავით გურამიშვილმა კარგად იცოდა უკრაინელი გლეხის ცხოვრება, გრძნობა და განწყობილება, იგი მეგობრობდა მოწინავე უკრაინელ ინტელიგენციას, კერძოდ, ფილოსოფოსს გრიგოლ სკოვოროდას. მისი პოემა „ქაცვია მწყემსი“, რომელიც გამსჭვალულია გლეხებისადმი თანაგრძნობით, დაწერილია უკრაინული ხალხური სიმღერის მოტივებზე.

დღეს პოეტის ძეგლის კვარცხლბეკი, რომელიც 1949 წელს აღიმართა მის საფლავზე, მირგოროდის მშრომელებმა გვირგვინებით შეამკეს.

მოგზაურობს „საირმე“

მაიკოპსკი. (საკ. კორ.). ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში დიდი მოწონებით სარგებლობს თავისი სამკურნალო თვისებებით ცნობილი მინერალური წყალი „საირმე“.

მინერალური წყლის ჩამომსხმელმა ქარხანამ სეზონის დაწყებიდან 2 მილიონ 600 ათასი ბოთლი მინერალური წყალი ჩამოასხა და გაუგზავნა მომხმარებლებს.

ქარხნის კოლექტივის გადაწყვეტილებაა საიუბილეო წლის დავალება გადამეტებით შეასრულოს და სეზონში 5 მილიონამდე ბოთლი „საირმე“ ჩამოასხას.

სიახლე შოვში

ლიტიდლე მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება კურორტი შოვი. ამ დღეებში ონის სარემონტო კანტორამ დაამთავრა და საექსპლოატაციოდ გადასცა ორსართულიანი 10-ბინიანი სახლი.

დ. ხახიაშვილი.

ახალი მაღაზია

მთაგორიანი - სოფლის თუზის (თერჯოლის რაიონი) მშრომელებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. აქ თერჯოლის რაიკოოპერატივმა საექსპლოატაციოდ გადასცა ახალი უნივერსალური მაღაზია. მაღაზიაში არის მზა ტანსაცმლის, ქსოვილების, მარფიუმერია-გალანტერიის, ტრიკოტაჟის, წიგნების, სამეურნეო საქონლის, საოჯახო საქონლის, სასურსათო სექციები.

პ. ჩაფიძე.

„ბეწვის ხიდზე“

ფოტოტიუდი მ. თათარიშვილისა.

ძვირფასი სტუმარი

სოფლის პირველი ექიმი — ლენინური პრემიის ლაურეატი

ოქტომბრის რევოლუციამდე გალის რაიონის სოფელ ოტობაიის მშრომელთა „სამედიცინო მომსახურება“ ექიმბაშების ხელში იყო. რევოლუციის შემდეგ სოფლის სამედიცინო მომსახურებას სათავეში უდგას საშუალო სამედიცინო პერსონალი, ხოლო 1930 წელს მოსკოვიდან ჩამოდის და სოფელ ოტობაიაში პატარა საავადმყოფოს ხსნის ნიჭიერი ექიმი თევდორე გრიგოლის-ძე უგლოვი.

დიდი სიხარულითა და სიყვარულით შეხვდნენ ოტობაიის მშრომელები პირველ საავადმყოფოს და მის დამაარსებელს ექიმ უგლოვს. უგლოვი და მისი მეუღლე, ისიც ექიმი, საავადმყოფოში ხსნიან ერთ ოთახს გინეკოლოგიური განყოფილებისათვის. ერთი წლის შემდეგ უგლოვი მიემგზავრება ლენინგრადში სწავლის განსაგრძობად. ლენინგრადის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრაზე იცავს საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებს, ხდება გულმკერდის ქირურგიის მამამთავარი. მას, როგორც გულმკერდის ქირურგიაში მრავალი მეცნიერული ნაშრომების ავტორს და დიდმნიშვნელოვან გამოკვლევათა ინიციატორსა და ხელმძღვანელს ირჩევენ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრად. ხოლო გულსისხლძარღვთა დაავადების ოპერატიული მკურნალობის მეთოდების შემუშავებისათვის ანიჭებენ ლენინურ პრემიას.

ამ დღეებში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლენინური პრემიის ლაურეატი თ. გ. უგლოვი კვლავ ეწვია სოფელ ოტობაიას. მას ყოველთვის აინტერესებდა სამედიცინო მომსახურების განვითარება იმ უბანში, სადაც პირველად მან გახსნა საავადმყოფო. მოუთმენლად ელოდა იმ ამხანაგებთან შეხვედრას, რომლებთანაც 36 წლის წინათ მეგობრობდა.

დადგა ამაღელვებელი მომენტი. იგი ცნობს და ეხვევა თავის ძველ მეგობრებს — ტრიფონ და ანდრო აღფენიძეებს, მათი ოჯახის წევრებს, ავქსენტი ფაცურიას, პარმენ ბაგათელიას და სხვებს.

აკადემიკოსის სიხარულს საზღვარი არა აქვს, როცა ფიცრული საავადმყოფოს ნაცვლად ხედავს სამ ვებერთელა ორსართულიან კორპუსს— რენტგენით, ფიზიოგანყოფილებითა და კლინიკური ლაბორატორიებით. 36 წლის შემდეგ მან კვლავ მოიარა პალატები, ზოგიერთი ავადმყოფი ლენინგრადში დაბარა, ზოგს კი რჩევა-დარიგება მისცა.

დაუვიწყარ შეხვედრას ესწრებოდნენ რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმები თარბა, ზარქუა, ლატარია, ანჩაძე, ბერულავა და სხვები.

— თუ ვისმე რამეში დაგჭირდეთ, მობრძანდით ლენინგრადში, თქვენთვის საშვი მუდამ მზად არის. მე კი ხშირად გინახულებთ, მეგობრებო,— განაცხადა აკადემიკოსმა უგლოვმა და გამოეშვიდობა ყოფილ თანასოფლელებს.

მ. ფეტელავა.

ლაზარიის ბილეთით —მაცივარი

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონული კვანძის თანამშრომელმა ალიკო კაპიტონის-ძე ბარძიმაშვილმა ამას წინათ რაიონულ ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების მიმდინარე წლის მეშვიდე გამოშვების ლატარიის ბილეთი (№ 274, სერია 55839), რომელსაც მოგებად ხვდა 200 მანეთად ღირებული მაცივარი „დნეპრი“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲨᲘ

იალგუზი და ტიან-შანი ხელს ართმევენ ერთმანეთს

ფრუნზე, 1 აგვისტო. (საკ.კორ.). დღეს ყირგიზეთში დაიწყო საქართველოს სს რესპუბლიკის კვირეული. მეგობრობის ამ დღესასწაულის თვითეული დღე იქნება დადასტურება საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ძმური ერთობისა.

ბევრი რამ აკავშირებს საქართველოსა და ყირგიზეთს. „ვეფხისტყაოსანი“ ყირგიზი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახდა თარგმანის მეოთხეთ, რომელიც თითქმის ოცდაათი წლის წინათ შეასრულა ალიაუულ ოსმანოვმა. მას შემდეგ წიგნი რამდენიმეჯერ გამოიცა. ყირგიზულ ოჯახებში ხშირად შეხვდებით პოემიდან გადმოღებულ სახელებს — ფრიდონს, ტარიელს, თინათინს, როსტევანს, დარეჯანსა და სხვ. ხოლო ავტორის სახელი სამუდამოდ დამკვიდრდა ყირგიზეთის დედაქალაქში. შოთა რუსთაველის ქუჩა ახალშენებლობათა რაიონში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქუჩაა.

ქართული მელოდიები არა ერთხელ აღღერებულა ალა-ტოოს მთის ძირას მდებარე ქალაქ-ბაღის საუკეთესო საკონცერტო მოედნებსა და მის გარეუბნებში. ხოლო საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც თავისი თვითმყოფადი ხელოვნებით სიხარული მიანიჭა მაყურებლებს, სამშობლოში წაიღო ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი.

ყირგიზმა კავშირგაბმულობის მუშაკებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართველი სპეციალისტების მიერ შექმნილ ფაქსიმილეს აპარატს „ირაგვს“. ახლა იგი მუშაობს ფრუნზეს, ოშას, პრეევალსკისა და ჯალალ-აბადის კავშირგაბმულობის განყოფილებებში, ჩუის ხეობის რაიონებში...

და აი ახალი შეხვედრა. სტუმარმოყვარე ყირგიზეთი კავკასიის წარმომადგენლებს უჩვენებს ყველაფერს, რითაც იგი დიდმა ოქტომბერმა დაასაჩუქრა.

ახალი კინოფილმი „ცისკრის ზარები“

ყაზბეგი. (საკ. კორ.). საქართველოს ლენინის ორდენოსან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კოლექტივი იღებს ახალ კინოფილმს „ცისკრის ზარები“.

ფილმში, რომელიც თანამედროვე სოფლის ცხოვრებას ასახავს, მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ს. ბაღაშვილი, მსახიობები გ. წიტაიშვილი და ზ. ქაფიანიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი მ. დაშნიანი და რესპუბლიკის სახალხო არტისტი კ. დაუშვილი.



ᲨᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲒᲘ

ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲐ ᲫᲐᲚᲐᲨᲘᲐ

ᲨᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲒᲘ

Ш. ЛОМАИДЗЕ.

მატჩეგი და შედეგები

გუშინ მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. **არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის** გუნდი შეხვდა **დონეცკის „შახტიორს“**. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

ლენინგრადში ს. კიროვის სახელობის სტადიონზე ადგილობრივი „ზენიტი“ ეთამაშა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს კიევის „დინამოს“. მატჩის შედეგია 3:0 კიეველთა სასარგებლოდ.

პოლონელი ფეხბურთელები მოსკოვში

გუშინ პოლონეთის ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელთა გუნდმა მოსკოვში ივარჯიშა. საღამოს პოლონელი ფეხბურთელები „დინამოს“ სტადიონზე დაესწრნენ ცსკა-ს და დონეცკის „შახტიორის“ თამაშს. ხვალ სტუმრები ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე მეხიკოს მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად მეორე შესარჩევ მატჩს გამართავენ საბჭოთა კავშირის ნაკრებთან.



Ს. ᲥᲐᲠᲗᲐᲣᲚᲘᲫᲔ.

Ზ. ᲑᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.



Გ. ᲡᲐᲚᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲔᲠᲝᲑᲠᲘᲙᲐᲜᲓᲘᲗ, ᲒᲔᲚᲘᲗ

თბილისში გაიხსნა ესტრადის სასწავლებელი

ესტრადის სასწავლებელი ხსნის ესტრადის განყოფილებას.

დღემდე საქართველოში არ არსებობდა სასწავლებელი, რომელიც აღზრდიდა ქართული ესტრადისთვის საჭირო საშემსრულებლო კადრებს. თითებზე შეიძლება ჩამოთვლა ესტრადის ოსტატებისა და რიგითი მუშაკებისა, რომელთა დაუღალავი და ბეჯითი შრომით იქმნებოდა და იქმნება ქართული ესტრადის თანამედროვე სახე.

ჩვენი ესტრადის დღევანდელი დონე თავისი კარგითა და ავით საესტრადო ხელოვნებისაკენ ახალგაზრდობის სტიქიური ლტოლვის შედეგია. ესტრადის მოყვარულ ახალგაზრდობას, თვითმოქმედი კოლექტივებიდან მოსულ კადრებს თავის გარშემო იკრებს საქართველოს ფილარმონია, რომელსაც საშუალება არა აქვს ეწეოდეს მათთან სერიოზულ სტუდიურ მუშაობას. ამიტომ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც დღეისთვის არ გამოდგება ესტრადაზე სამუშაოდ, მაგრამ პოტენციურად ძლიერია, სცილდება ამ საქმეს. სწორედ ამ გარემოებამ

Ზ. ᲑᲔᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Გ. ᲡᲐᲚᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

ᲔᲡᲢᲠᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

მოგაკალ ინჟინრებთან

გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

ᲐᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ერთ-ერთი დიდი უმაღლესი სასწავლებელი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. რამდენი სახელოვანი სპეციალისტი აღზრდილა მის კედლებში, რამდენ მაგალს უსახელეთა დედა-სამშობლო, შორს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაუტანია ქართული ტექნიკური მეცნიერების სახელი.

ამ სასწავლებლის ათ სხვადასხვა ფაკულტეტზე ახალგაზრდები ეუფლებიან 63 სხვადასხვა სპეციალობას.

და აი ისინიც — 12 ათასი ბეჯითი ახალგაზრდა, მათ შორის 426 მედალოსანი, ვისაც არ ეშინია ზუსტი მეცნიერებისა, მოსულან აქ, აგრეთვე ამ სასწავლებლის რუსთავის, ქუთაისისა და ფოთის ფილიალებში, რათა დღისა და საღამოს სტაციონარზე და დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღონ უმაღლესი ტექნიკური განათლება.

გამოცდების მეორე დღეა. დღის სტაციონარზე მათემატიკაში (ზეპირი) გამოცდა აქვთ მომავალ სამთოელ გეოლოგებს, ჰიდროგეოლოგებს, ენერგეტიკოსებს... შეფასებას კი გონიერი მანქანები დასვამენ.

დილის 8 საათია. ახალგაზრდები შედიან პირველ დარბაზში, რიგიგიობით მიდიან მაგიდასთან და ლატარიის წესით იღებენ ნომერს. მათ ეძლევათ იმ ნომრის ბილეთი, რომელიც „ეუჭისყრის წესით შეხვდა, და დაჯდებიან ამ ნომრის მაგიდაზე. მაგიდები კი ხუთასსავე ახალგაზრდებს, რომლებსაც ამ ცვლაში ცდიან, ინდივიდუალურად აქვთ...

გამოცდა რამდენიმე აუდიტორიაში მიმდინარეობს, სიჩუმეა, თავდახრილი მუშაობენ ქალიშვილები და ჭაბუკები. ყველა მაგიდასთან, ყველა გამოსაცდელთან მიდის მათემატიკის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე პროფესორი დ. ავაზაშვილი. იგი სათითაოდ ეკითხება — რა უჭირს, რაში ესაჭიროება დახმარება...

...დრო ნელნელა გადის. აბიტურიენტები ავსებენ უჯრებს პასუხებით. აი უკვე წამოდგა პირველი, მეორე... მეათე. მიდიან გამომცდელებთან, გადაცემენ თავიანთ ნამუშევრებს და დგებიან „აისის“ ტიპის ელექტრულ მანქანებთან.

მანქანასთან სპეციალისტი ერთხელ კიდევ ავლებს თვალს ნამუშევარს, ამოწმებს, სწორად არის თუ არა შევსებული უჯრები. ჩაირთო მანქანები, რომლებსაც უფროსების ზედამხედველობით თვითონ გამოსაცდელები მართავენ. ეშირად ინთება და ქრება წითელი ნათურები, რაც იმის მაუწყებელია, რომ სამუშაო სწორად არის შესრულებული, ხოლო შემდეგ სპეციალურ ღილაკზე ხელის დაჭერით აინთება ნიშნის დისკოც. მანქანა ამ ნიშანს გამოსაცდელის საგამოცდო ფურცელზეც წერს. და თუ ვისმე პრტენზია აქვს, იქვე ზის სპეციალისტთა კომისია, რომელიც აბიტურიენტისა და მანქანის „კონფლიქტში“ ერევა, და გაუგებრობა იქვე სწორდება.

— წელს კარგად მოვემზადეთ მიაღები გამოცდებისათვის, — გვეუბნება მამლები კომისიის თავმჯდომარე ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ი. ბუაჩიძე, — გასაუბრებას ყველა ფაკულტეტზე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები აწყობდნენ. მათემატიკაში ახალგაზრდების მომზადებით უკმაყოფილო არა ვართ. მართალია, ნაკლებია მედალოსნების რიცხვი, მაგრამ კურსდამთავრებულნი უკეთ მომზადებული მოვიდნენ, ვიდრე გასულ წლებში. მაგალითად, პირველ დღეს მანქანით მათემატიკაში ზეპირ გამოცდაზე გამოსაცდელთა 70 პროცენტზე მეტმა დამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო. სიახლე იყო მხოლოდ ის, რომ პირველად გვქონდა მიღება საინჟინრო ფიზიკის განყოფილებაზე. იგი მოამზადებს ლითონთა ფიზიკის, აგრეთვე ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკის დარგის სპეციალისტებს.

წელს ინსტიტუტში ყველა განყოფილებაზე მიღებულ იქნება 3.375 კაცი.

ე. მამალაძე.

ᲘᲐ. ᲘᲐ. ᲙᲝᲓᲣᲐ— ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე პოლიტიკური ეკონომიის კათედრის დოცენტმა **იოსებ ივანეს-ძე კოდუამ** ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: **„ელექტროფიკაციის გავლენა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში“.**

სსრ კავშირის უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა იოსებ ივანეს-ძე კოდუასთვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘ ᲛᲘᲠᲒᲝᲠᲝᲓᲨᲘ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲘᲜᲟᲘᲜᲠᲔᲑᲗᲐᲜ

გამოცდები უმაღლეს სასწავლებლებში

ᲨᲔᲛᲝᲗᲕᲔᲚᲐ

გავშვი გადაარჩინეს

1967 წლის 18 ივლისს, როცა მატარებელი № 406 თბილისი-სურამი ხაშურს უახლოვდებოდა, მატარებელი დამუხრუჭდა. ამის მიზეზი იყო პატარა ბიჭუნა, რომელიც ლინდაგებს შუა იდგა და მოახლოებულ საფრთხეს ვერ გრძნობდა.

მემანქანე ლ. არბოლაშვილისა და მის თანაშემწე შ. ავიაზიშვილის სწრაფმა მოქმედებამ პატარა გოგი გოგოლაძეს სიცოცხლე შეუნარჩუნა. მათ მატარებელი სულ რაღაც 1,5-2 მეტრზე გააჩერეს.

დ. მანაშეროვი.

ᲙᲚᲐᲕ ᲛᲘᲜᲘᲡᲙᲕᲠᲐ

ᲗᲐᲨᲙᲔᲜᲢᲘ, 1 აგვისტო. (საკ.კორ.). დღეს 18 საათსა და 15 წუთზე მიწისქვეშა სტიქიამ კვლავ გაგვაგზავნა თავი კიდევ ერთი ბიძგითა. ტაშკენტის სადგურის სეისმოლოგებმა განსაზღვრეს, რომ ბიძგის ძალა, რომელსაც გუგუნი ახლდა, ოთხი ბალი იყო.

ეპიცენტრი კვლავ ქალაქის ცენტრალური რაიონებია. უზბეკეთის დედაქალაქი ნორმალურად ცხოვრობს.

ᲫᲣᲚᲚᲔᲑᲘ...

მდგომარეობა 2 აგვისტოსათვის

1. მოსკოვი — 593 ქულა
2. რსფსრ — 574
3. უკრაინა — 555
4. ლენინგრადი — 478
5. საქართველო — 422
6. ყაზახეთი — 405
7. ბელორუსია — 398
8. ლატვია — 353
9. ლიტვა — 352
10. უზბეკეთი — 343
11. აზერბაიჯანი — 322
12. ესტონეთი — 310,5
13. სომხეთი — 246
14. მოლდავეთი — 201
15. ყირგიზეთი — 191
16. თურქმენეთი — 134
17. ტაჯიკეთი — 123.5

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი შაშში. განგლო ცამეტმა ტურმა. ტურნირს 9,5-9,5 ქულით ლიდერობენ საერთაშორისო ოსტატები ვლადიმერ კაპლანი და ნიდერლანდელი ტონი სეიბრანრდსი. 8,5-8,5 ქულა მოაგროვეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა რიგელმა დიდოსტატმა ანდრის ანდრეიკომ და ლენინგრადელმა საერთაშორისო ოსტატმა სერგეი მანშინმა. ტურნირში დაუმარცხებლად იბრძვის მხოლოდ ვ. კაპლანი.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ველოსიპედისტთა ნაკრებმა, რომელშიც შედიოდნენ კასტელო, კემელო, პანჩინი, რონკალია — ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით გუნდურ რბოლაში 4.26,0 აჩვენა და იტალიის ახალი რეკორდი დამყარა. თვითეულმა ველოსიპედისტმა დისტანციაზე საშუალოდ 53,9 კმ სისწრაფე განვითარა.

ᲞᲐᲠᲘᲖᲨᲘ გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაზე 38 წლის კოლონარმა საფრანგეთის ახალი რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში (18,40).

ᲝᲪᲓᲐᲠᲘᲗᲘ წლის ინგლისელმა სტუდენტმა ჭალმა ლ. გრაიმ ლამანში სარეკორდო დროში — 10 საათსა და 24 წუთში გადასცურა.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

15.55 — გადაცემათა პროგრამა, 16.00 — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წითელი დროშითა და „ბრძოლის წითელი დროშის“ ორდენით დაჯილდოებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომისა და კონცერტის ტრანსლაცია, 19.20 — კინონარკვევი, 19.30 — გადაცემა „პოეტი ჩვენი არსობისა“, 20.05 — გადაცემა „ქართული საბჭოთა გრაფიკა“, 20.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სპორტაკიადა — კრივი (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.50 — მხატვრული ფილმი „შავტუხა“.

4 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

09.30 — კინონარკვევები, 10.10 — დოკუმენტური ფილმი „ქვები და ბური“, 11.00 — მხატვრული ფილმი „შავტუხა“, 12.15 — მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ალეგტო „პიონერია“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 17.25 — გადაცემათა პროგრამა, 17.30 — ბავშვებისათვის — კონცერტი დაკვეთით, 18.10 — განცხადებები, 18.15 — გადაცემა — „საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ირინა არხიპოვა“, 19.00 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მეოთხე საზაფხულო სპარტაკიადის საზეიმო დახურვა (გადმოცემა მოსკოვიდან ინტერვიზიისათვის, შესვენების დროს „ახალი ამბები), 22.00 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03. 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ